ლევან გოთუა

ინჰოლანდის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი

,,2024 წლის მაისში, ერაზმუს+ აკადემიური პერსონალის მობილობის პროგრამის ფარგლებში, ვიმყოფებოდი ინჰოლანდის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტში, ნიდერლანდები (Inholland University of Applied Sciences, Netherlands).

ვიზიტის დროს ჩავატარე ლექციები ბიზნესისა და ადმინისტრირების ფაკულტეტის სტუდენტებთან ალკმაარის კამპუსში. სალექციო თემები ეხებოდა საერთაშორისო ვაჭრობაში გადახდის ინსტრუმენტებს.

გარდა ამისა, სტუდენტები გაეცნენ მოკლე ინფორმაციას საქართველოსა და კავკასიის უნივერსიტეტის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ შევხვდი ადგილობრივ აკადემიურ პერსონალსა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, ვისთან ერთადაც განვიხილე საერთაშორისო ურთიერთობებისა და მსგავსი ვიზიტების დიდი მნიშვნელობა, საერთო კვლევებისა და სტუდენტების საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის შესაძლებლობები.

დაისახა კონკრეტული სამომავლო თანამშრომლობისა და პროექტების პერსპექტივებიც.''